ხულოს მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 ნოემბრის N940 ბრძანებით შექმნილი ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგისა და ანგარიშსწორების კომისიისა და ტექნიკური ზედამხედველობის ჯგუფის " სხდომის

ოქმი №39

დაბა ხულო 17 სექტემბერი 2018 წელი

სხდომას

თავმჯდომარეობდა: ეკონომიკური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი - **ზაზა აბულაძე**

სხდომას ესწრებოდა: ხულოს მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 ნოემბრის N940 ბრძანებით შექმნილი ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგისა და ანგარიშსწორების კომისიისა და ტექნიკური ზედამხედველობის ჯგუფის", კომისიის წევრები: იური აბულაძე, ირაკლი ხაჯიშვილი.

დღის წესრიგი:

1. ხულოს მუნიციპალიტეტსა და შპს „B&B"-სშორის 2016 წლის 29 ივლისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N162 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

- მომხსენებელი - ზაზა აბულაძე – მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

მოისმინეს:

მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ზაზა აბულაძის ინფორმაცია, რომ პრიორიტეტული პროგრამით გათვალისწინებულ მთა საჯოგიადან ნეგოიანში სასმელი წყლის მიყვანის სამუშაოებს 2016 წლის 29 ივლისს ხულოს მუნიციპალიტეტთან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N162 ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებდა შპს „B&B". შესასრულებელი სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 872 811 (რვაას სამოცდათორმეტი ათას რვაას თერთმეტი) ლარს. სამუშაოები მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გეგმა გრაფიკის შესაბამისად (4.7; 4.8 პუნქტები) უნდა განხორციელებულიყო ორ ეტაპად: I ეტაპი მოიცავდა ხელშეკრულების გაფორმებიდან - 2016 წლის 29 ივლისიდან 2016 წლის 16 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდს, (შემსყიდველის მიერ რთული რელიეფური პირობებიდან გამომდინარე არასამუშაო თვეებად აღებულია 2016 წლის 16 ოქტომბრიდან 2017 წლის აპრილის თვის ჩათვლით პერიოდი), ხოლო II ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა განხორციელებულიყო 1 მაისიდან 2017 წლის 09 ივლისის ჩათვლით პერიოდში (70 სამოცდაათი კალენდარული დღე). მიმწოდებელმა I ეტაპით

ვალდებულებების შესაბამისად, რაზედაც მეწარმისათვის 2016 წელს შემსყიდველის მიერ ანაზღაურებულ იქნა 276 604. 61 (ორას სამოცდათექვსმეტი ათას ექვსას ოთხი ლარი და 61 თეთრი) ლარი. II ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების ვადა მიმწოდებლს 2017 წლის 05 მაისის N4673/09 წერილის საფუძველზე, სადაც აღნიშნავდა მაისის თვეში რთული მეტეოროლოგიური პირობების შესახებ გადაეწია და ნაცვლად 2017 წლის 09 ივლისისა განესაზღვრა 2017 წლის 12 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი (ხულოს მუნიციპალიტეტსა და შპს „B&B"-ს შორის 2017 წლის 29 ივლისს გაფორმებული N162 ხელშეკრულების 2018 წლის 07ივლისის შეთანხმება).

ამის შემდგომ ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის თამაზ აბაშიძის 2017 წლის 30 მაისის N095296 წერილით შპს „B&B"-ს დირექტორს ეცნობა სამუშაოები დაეწყო სამი 3 (სამი) დღის ვადაში, შესაბამისად მეწარმემ სამუშაოები დაიწყო 2018 წლის 03 ივნისს.

მიმწოდებლის მიერ სამუშაოების განახლების შემდგომ ადგილი ქონდა სხვადასხვა დაუსაბუთებელი არგუმენტაციის საბაბით ხელშეკრულების შესრულებისგან თავის არიდებას, კერძოდ, მაგალითისთვის - მიმწოდებელმა 2017 წლის 26 ივნისის 6281/09 წერილით ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელს აცნობა და მოითხოვა, ბაზარზე არსებული ფასების ზრდისა და ინფლაციის გამო ხელშეკრულების დარჩენილი ღირებულების 10%-ით ზრდა, თუმცა გამომდინარე იქედან, რომ მეწარმე სუბიექტისათვის წინასწარ ცნობილია ის ვალდებულებები, რაც ხელშეკრულების პირობების შესაბამისად უნდა შეასრულოს და იმის გათვალისწინებით, რომ შესაბამისი რისკები წინასწარ გათვლილი უნდა ქონდეს, შპს „B&B"-ს დაუსაბუთებელი მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული.

მიმწოდებელი ისევ აგრძელებდა სხვადასხვა საბაბით სამუშაოების განხორციელებისგან თავის არიდებას, რაც დასტურდება 2017 წლის 27 ივლისის N7391/09 წერილით, სადაც შპს „B&B"-ის დირექტორი ამცნობს გამგეობას გაურკვეველი საჭიროებიდან გამომდინარე ობიექტის პროექტში ცვლილების შეტანას და ერთპიროვნულად შემსყიდველი ორგანიზაციის თანხმობის გარეშე აჩერებს სამუშაოების განხორციელებას. აღნიშნულთან დაკავშირებით ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 07 აგვისტოს N09/7340 წერილით ეცნობა და განემარტა, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობას საპროექტო ორგანიზაციის მიერ არ მიუღია ცნობა/დასტური ობიექტზე ცვლილებების აუცილებლობის შესახებ. გარდა ზემოაღნიშნულისა ასევე მიმწოდებელს განემარტა შემდეგი: - იმის გათვალისწინებით, რომ ობიექტი წარმოადგენს ხაზობრივ ნაგებობას და რეალურად კონკრეტულ მონაკვეთზე აუცილებლობიდან გამომდინარე საჭირო, რომც ყოფილიყო პროექტში ცვლილების შეტანა, ეს უკანასკნელი არ და ვერ იქნებოდა სამუშაოების შეჩერების საფუძველი, გამომდინარე იქედან, რომ სამუშაოების გადატანა შესაძლებელი იყო სხვა მონაკვეთზე.

მიმწოდებელი 2017 წლის 10 აგვისტოს N7788/09 წერილით, ჩვეული, დაუსაბუთებელი არგუმენტაციით ისევ მოითხოვს სამუშაოების შესრულების ვადის გადაწევას, რაზედაც ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 14 აგვისტოს N09/7549 წერილით კვლავ განემარტა, რომ მის მიერ წერილში დაფიქსირებული სამუშაოები და ცვლილებები, წყლის მაგისტრალის მშენებლობის სამუშაოების პროცესის შეჩერების საფუძველს არ იძლეოდა. 2017 წლის 25 აგვისტოს N8306/09 წერილით მიმწოდებელმა კვლავ მიმართა ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობას ანალოგიური მოთხოვნით, რაზადაც სიტყვიერად კვლავ განემარტა მოთხოვნის უსაფუძვლობის თაობაზე. აღნიშნულის შესახებ დეტალური განმარტება ხულოს მუნიციპალიტეტის ტექნიკური ზედამხედველების მიერ ასევე დაფიქსირებულ იქნა 2017 წლის 05 სექტემბრის N3165-09 მოხსენებითი ბარათით.

2018 წლის 22 იანვარს მხარეებს შორის გაფორმებდა შეთანხმება, რომლის შესაბამისადაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება 2018 წლის 1 ივლისამდე პერიოდში განეხორციელებინა, ობიექტის ჰიდრავლიკური გამოცდა და მიმდინარე წლის 9 ივლისს N-09/6401 წერილით ეცნობა მიმწოდებელს, რომ ჰიდრავლიკური გამოცდა განხორციელებულიყო სტატიკურ წნევაზე მილის ჰერმეტულობის გამოცდით. 2018 წლის 18 ივლისს ხულოს მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებმა პროექტის ავტორთან ერთად, კიდევ ერთხელ დაათვალიერეს აღნიშნული

წყალსადენის მაგისტრალი, რა დროსაც მიმწოდებლის მიერ კვლავ ხორციელდებოდა მაგისტრალზე არსებული ხარვეზის აღმოფხვრის სამუშაოები. მაგისტრალის დათვალიერებისას პროექტის ავტორმა მიუთითა, რომ მაგისტრალი გარკვეულ მონაკვეთში მოწყობილი იყო დამარხვის გარეშე, ასევე ზოგიერთ ადგილას მილები იყო ჰაერში გაკიდული და აღნიშნა, რომ მაგისტრალის სრული დატვირთვის შემთხვევაში ადგილი ექნებოდა, გადაბმის ადგილებში მილების რღვევას. გარდა ამისა ხულოს მუნიციპალიტეტის მერია ვერ დაეთანხმა მეწარმის მიერ განხორციელებული ჰიდრავლიკური კვლევის შედეგებს, რადგან როგორც მეწარმეს ცალმხრივად დამოწმებულ აქტებში მითითებული ქონდა ჰიდრავლიკური გამოცდის აქტის შედგენის თარიღად 16.07.2018 და 17.07.2018 წელი, იმ პერიოდისათვის წყალსადენის მაგისტრალზე მერიის მხრიდან ტექნიკური ზედამხედველები ან სხვა წარმომადგენლები არ იმყოფებოდენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მერიის შესაბამისი სამსახურების თანამშრომლები პროექტის ავტორთან ერთად იმყოფებოდა აღნიშნული წყალსადენის მაგისტრალზე მიმდინარე წლის 18 ივლისს. ამავე დღეს აგრეთვე მერიასთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე წყალსადენის მაგისტრალზე იმყოფებოდა შპს „B&B"-ს წარმომადგენელი, მაგრამ ჰიდრავლიკური გამოცდა ვერ შედგა იმის გამო, რომ მიმწოდებელი კვლავ ახორციელებდა ხარვეზების აღმოფხვრის სამუშაოებს. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მეწარმის მიმართ ამოქმედდა N-162 ხელშეკრულების 9.9. პუნქტი (თუ მეწარმე არ განახორციელებს 2018 წლის 1 ივლისამდე პერიოდში 4.13 პუნქტის მოთხოვნებს, ამოქმედდება N-162 ხელშეკრულების 9.4 პუნქტის მოთხოვნები პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) და დაეკისრა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლო. ამასთან ერთად ეცნობა, რომ მაგისტრალის მთა ბოდიშზე არსებულ რეზერუარში, მთა საჯოგიაზე არსებული წყლის მიმღებებიდან მოწოდებული წყლის დებეტი, გაცილებით მცირეა იქ ადგილზე არსებულ რესურსთან და საპროექტო მონაცემით გათვალისწინებულ დებეტზე. მაგისტრალზე არსებობს სხვა ხარვეზებიც, რაც დასტურდება ფოტომასალით, ყოველივე ამის შემდგომ ეთხოვა მეწარმეს (30/07/2018, N09/6833) გონივრულ ვადაში (არაუგვიანეს ხუთი კალენდარული დღისა) ეცნობებინა მისი მოსაზრებები აღნიშნულთან დაკავშირებით და მოეხდინა ხარვეზების გამოსწორება, წინააღმდეგ შემთხვევაში ხულოს მუნიციპალიტეტის მერია გამოიყენებდა მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

საბოლოოდ მეწარმემ 2018 წლის 03 აგვისტოს N7600/09 წერილით კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ის არ აპირებს მერიის მიერ მითითებული წერილებისა და მხარეებს შორის გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად ხარვეზების აღმოფხვრასა და ჰიდრავლიკკური გამოცდის ჩატარებას მხარეების თანდასწრებით, რაზედაც დამატებით მიეწერა მეწარმეს და მიეცა 10 კალენდარული დღე ობიექტზე არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, თუმცა მეწარმე დღემდე აგრძელებს ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების უხეშ დარღვევას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ მეწარმე არ აპირებს 2016 წლის 29 ივლისს ხულოს მუნიციპალიტეტსა და შპს „B&B"-ს (შემდგომში: მიმწოდებელი) შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N162 ხელშეკრულების პირობების შესრულებას და მიზანშეწონილია ცალმხვრივად შეწყდეს ზემოაღნიშნული ხელშეკრულება და მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების 9.6 პუნქტისა და 9.8 პუნქტების შესაბამისად მეწარმეს დაეკისროს პირგასამტეხლო - 9.6 პუნქტის შესაბამისად ხელშეკრულების 0.03%-ის ოდენობით, 2017 წლის 22 ნოემრიდან დღემდე (299 დღე) და შეადგენს 261.8x299=78 278.2 ლარს, ხოლო 9.8 პუნქტის შესაბამისად 3%-ის ოდებით და შეადგენს 26184.33 ლარს, ჯამში მეწარმეს ეკისრება პირგასამტეხლო 78 278.2+26184.33 =104 462.53 (ასოთხიათას ოთხას სამოცდაორი ლარი და 53 თეთრი) ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია:

- შპს. „B&B" - ს 2017 წლის 05 მაისის N4673/09 განცხადება
- გამგებლის მოადგილის თამაზ აბაშიძის 2017 წლის 30 მაისის N095296 წერილი
- შპს. „B&B" - ს 2017 წლის 26 ივნისის N6281/09 წერილი
- შპს. „B&B" - ს 2017 წლის 27 ივლისის N7391/09 წერილი
- ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 07 აგვისტოს N09/7340 წერილი

- შპს. „B&B" - ს 2017 წლის 10 აგვისტოს N7788/09 წერილი
- ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 14 აგვისტოს N09/7549 წერილი
- შპს. „B&B" - ს 2017 წლის 25 აგვისტოს N8306/09 წერილი
- 2017 წლის 05 სექტემბრის N3165-09 მოხსენებითი ბარათი
- მიმდინარე წლის 9 ივლისს N-09/6401 წერილი
- მიმდინარე წლის 30 ივლისის N09/6833 წერილი
- 2018 წლის 03 აგვისტოს N7600/09 წერილი

გადაწყვიტეს:

- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგისა და საბოლოო ანგარიშსწორების კომისიამ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე, გადაწყვიტა ცალმხრივად შეწყდეს ხულოს მუნიციპალიტეტსა და შპს „B&B"-სშორის 2016 წლის 29 ივლისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N162 ხელშეკრულება და შპს „B&B"-ს დაეკისროს ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.6 და 9.8 პუნქტების შესაბამისად პირგასამტეხლო ჯამში 104 462.53 (ასოთხიათას ოთხას სამოცდაორი ლარი და 53 თეთრი) ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სხდომის თავმჯდომარემ (ზაზა აბულაძე) საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 3

წინააღმდეგი 0

კომისიის თავმჯდომარე ზაზა აბულაძე

მალხაზ სურმანიძე

ირაკლი ხაჯიშვილი